სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
56734326387316

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N160052428

რეგისტრაციის თარიღი

22.01.2016 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ხელშეკრულება

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა

"დრიმლენდ ვაკე -DREAMLAND VAKE"-ს

შექმნის შესახებ

თბილისი
2016

წინამდებარე დებულების მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ამხანაგობა“ – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „დრიმლენდ ვაკე“, ნგლისურად „DREAMLAND VAKE“

„ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება“ – (შემდგომში – საერთო კრება) ამხანაგობის უმაღლესი ორგანო, რომელიც შედგება დამფუძნებელი წევრებისაგან. „ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი“ – წინამდებარე დებულების 1-ლი მუხლის 1.2 პუნქტში მითითებული ფიზიკური პირი;

„მხარეები“ – “ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები”;

„ობიექტი“ – ქ. თბილისში, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 3/55)-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე ასაშენებელი მრავალსართულიანი/მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობა.

„წილი“– შენობის და მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელზედაც საკუთრების ან საკუთრებაზე მოთხოვნის უფლებას იძენს მხარე.

„შენატანი“ - ქონებრივი ან ფულადი შენატანი ან მომსახურების გაწევა.

მუხლი 1. ამხანაგობის სახელწოდება, მისამართი და დამფუძნებელი წევრები:

1.1. ამხანაგობის სახელწოდებაა – „დრიმლენდ ვაკე - DREAMLAND VAKE“

1.2. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან:

1. **პროკოფი ჭანკოტაძე** (დაბადებული **29.11.1979** წ. პირადი ნომერი #**18001005079** მცხოვრები: თბილისი, მ.კოსტავას ქ. **67** ბ. **67ბ**),
2. **თენგიზ ბიგვავა** (დაბადებული 01.01.1967 წ. პირადი ნომერი #62006029147 მცხოვრები: გალი, ლენინის ქ. 155),
3. **გიორგი მიქაია** (დაბადებული 27.02.1989 წ. პირადი ნომერი #62006060421, მცხოვრები: გალი, სათანჯოს ქ. N 16),
4. **გიორგი გამეზარდაშვილი** (დაბადებული 11.08.1985 წ. პირადი ნომერი #01024021414, მცხოვრები: თბილისი, ზ.ბოლქვაძის ქ. N 1 ბ. 31),
5. **ზურაბ ბენდელიანი** (დაბადებული 09.12.1960 წ. პირადი ნომერი #60001014319, მცხოვრები: თბილისი, დიდი დიღომი, გ.ბრწყინვალეს ქ. N 21 ბ. 103),
6. **ლავრენტი მაღლაკელიძე** (დაბადებული 30.10.1980 წ. პირადი ნომერი #18001006252, მცხოვრები: ზესტაფონი, დადიანის ქ. N 57),
7. **პაატა ჯახუტაშვილი** (დაბადებული 16.10.1962 წ. პირადი ნომერი #01007002197, მცხოვრები: თბილისი, რ.აგლაძის ქ. N 26 კორ. 1 ბ. 13),
8. **იოსებ ალავიძე** (დაბადებული 11.10.1975 წ. პირადი ნომერი #01015004853 მცხოვრები: თბილისი ვ. გორგასალის ქ. N 103 კორ. 1 ბ. 7),
9. **გოგა რაზმაძე** (დაბადებული 04.07.1973 წ. პირადი ნომერი #01008001361 მცხოვრები: თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 2, ბინა 55),
10. **ჯემალ ქერდიყოშვილი** (დაბადებული 19.12.1960 წ. პირადი ნომერი #62006007580 მცხოვრები: გალი. ს. ოქუმი),

1.3. ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება) მის ადგილს კანონით დადგენილი წესით იკავებს მემკვიდრე/მემკვიდრეები,

1.4. ამხანაგობის იურიდიული მისამართია: **ქ. თბილისი, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 3/55).**

მუხლი 2. ამხანაგობის მიზანი:

2.1. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) მიზანს წარმოადგენს **ქ. თბილისი, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 3/55)** მდებარე **3000.00 კვ.მ.** მიწის ნაკვეთზე

ჯალსართულიანი მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობის (შემდგომში მოხსენიებული როგორც „ობიექტი") მშენებლობა.

2.2 დასახული მიზნის, კერძოდ კი „ობიექტის" მშენებლობის განსახორციელებლად, შეიქმნა წინამდებარე ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა იურიდიული პირის შეუქმნელად და იგი მიზნად არ ისახავს სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას შემოსავლის მიღების მიზნით. ის არსებობს, ფუნქციონირებს და მოქმედებს მიზნის საბოლოოდ მიღწევამდე;

2.3. საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობა საბანკო დაწესებულებებში გახსნის ანგარიშებს. მათ შორის სავალუტო ანგარიშს.

2.4. საბანკო ანგარიშის გახსნისათვის საკმარისი იქნება ამხანაგობის წარმომადგენლის (ამხანაგობის თავმჯდომარის) მიერ წინამდებარე ხელშეკრულების დედნის ან დამოწმებული ასლის წარდგენა.

2.5. მთლიანობაში, ასაშენებელი და გასანაწილებელი ფართი საორიენტაციოდ შეადგენს 5400,00 კვ.მ.-ს, სართულების რაოდენობა - 6, ბინების რაოდენობა - 54.

მუხლი 3. მონაწილეთა შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები:

„ამხანაგობაში" გაწევრიანების, შექმნისა და საქმიანობის მიზნისათვის და მის განსახორციელებლად, ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ახორციელებენ შენატანებს ამხანაგობაში, როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი (უძრავი ქონების სახით) შენატანის სახით. აღნიშნული შენატანები წარმოადგენს ამხანაგობის წევრთა საერთო წილობრივ საკუთრებას და უნდა მოხმარდეს მხოლოდ და მხოლოდ „ამხანაგობის" საერთო მიზნის განხორციელებას. შესაბამისად, შენატანის სახით ამხანაგობაში შეტანილი მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება ამხანაგობის საკუთრებაში.

3.1 ამხანაგობის დამფუძნებელი წევრ(ებ)ი:

პროკოფი ჭანკოტაძე, თენგიზ ბიგვავა, გიორგი მიქაია, გიორგი გამეზარდაშვილი, ზურაბ ბენდელიანი, ლავრენტი მაღლაკელიძე, პაატა ჯახუტაშვილი, იოსებ ალავიძე, გოგა რაზმაძე და ჯემალ ქერდიყოშვილი „ამხანაგობას" საკუთრებაში შენატანის სახით გადასცემენ მათ ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომლის მახასიათებლებია:
სარეგისტრაციო ზონა – თბილისი 01, სექტორი – ვაკე 14, კვარტალი 12, ნაკვეთი 003/055; დაზუსტებული ფართობი – 3000.00 კვ.მ, ნაკვეთის საკუთრების ტიპი _ საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო; ნაკვეთის წინა # 3/10; 01.14.12.003.010 მისამართი: ქ. თბილისი, შატბერაშვილის და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, (ნაკვეთი 3/55).
აღნიშნული უძრავი ქონება იპოთეკით ან სხვა რაიმე ვალდებულებით არ არის დატვირთული, არ არის სადავო და არ ადევს ყადაღა, რაც **დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.14.12.003.055, განცხადების რეგისტრაცია #882014670698-11/12/2014, მომზადების თარიღი 11/12/2014.**

მესაკუთრის მიერ „ამხანაგობისათვის" გადაცემული უძრავი ქონება მხარეთა მიერ შეფასებულია **667.000,00 (ექვსასსამოცდაშვიდი ათასი)** ლარად.

უძრავი ქონების სახით შენატანის სანაცვლოდ „ამხანაგობის" წევრები იღებენ ფართებს.

3.2. წევრების მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობა და პერიოდულობა თითოეული წევრისათვის განისაზღვრება ინდივიდუალური შეთანხმებით.

ამხანაგობის წევრებს შორის ფართების და ავტოფარეხების განაწილება მოხდება დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

3.3. ამხანაგობის წევრების ვალდებულებას ასევე წარმოადგენს შემდეგი ფუნქციების ერთობლივი ძალისხმევით შესრულება:

ა) შენობის აშენება (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოება) მოქმედი კანონმდებლობის, ან შორის, ყველა სამშენებლო ნორმისა და ნორმატიულ-ტექნიკური პირობების დაცვით;

ბ) პროექტის თანახმად განსაზღვრული მშენებლობის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) მთლიანი პროცესის სრული დაფინანსება;

გ) პროექტის თანახმად გათვალისწინებული შენობის ექსტერიერის (ფასადის) დასრულება, კიბის უჯრედების დასრულება, წყალ-კანალიზაციის და ელ/დგარების დამონტაჟება;

ე) პროექტის შესაბამისად აღმართული შენობის ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფა;

ვ) ყველა სხვა ქმედების განხორციელება, რაც აუცილებელი იქნება პროექტის შესაბამისად შენობის აღმართვისა (აშენების) და მისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებისათვის;

ზემოთხსენებული ფუნქციების ორგანიზება და კონტროლი ევალება ამხანაგობის თავმჯდომარეს.

3.4. დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ ამხანაგობაში წევრების შენატანის ღირებულება ერთობლივად განისაზღვრება – 2.467.000,00 (ორი მილიონ ოთხასსამოცდაშვიდი ათასი) ლარით (მ. შ. პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1.800.000,00 ლარით).

3.5. დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ განხორციელებული შენატანები გახდება ამხანაგობის საერთო საკუთრება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება.

3.6. დაფუძნების აქტი საჯარო რეესტრს წარედგინება აქტის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.

3.7. შენობის მშენებლობა მოიცავს შენობის სრული კარკასის აღმართვას, ყველა კომუნიკაციის მიერთებას, ექსპლუატაციაში მისაღებად საჭირო ყველა ქმედების განხორციელებას. ამხანაგობის მიზანში არ შედის თითოეული საცხოვრებელი და/ან არასაცხოვრებელი ფართის შიდა მოპირკეთება და კეთილმოწყობა, აღნიშნული მოვალეობა ეკისრება შესაბამისი ფართის მფლობელს.

3.8. ამხანაგობა ვალდებულია შენობა-ნაგებობის აშენება დაასრულოს მშენებლობის დაწყებიდან საორიენტაციოდ 24 თვის განმავლობაში.

მუხლი 4. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა უფლება-მოვალეობანი

4.1 ამხანაგობის თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს დაუბრკოლებლად გაეცნოს ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტაციას და მიიღოს სხვა ინფორმაცია.

4.2. ამხანაგობის თითოეული წევრი, საკუთარი ფართის განკარგვისას ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ მოიმოქმედოს არაფერი, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას (ეს განსაკუთრებით ეხება შენობის ფასადს).

მუხლი 5. ამხანაგობის წევრი ვალდებულია:

1. აღიაროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.
2. დაემორჩილოს ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებებს.
3. შეასრულოს ამხანაგობის თავმჯდომარის კანონიერი მითითებები და გადაწყვეტილებები.
4. დროულად შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შენატანები, მათ შორის განახორციელოს შენატანთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები.
5. დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის საქმიანობაში.
6. არ ხელყოს ამხანაგობის მონაწილეთა უფლებები.
7. კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების თანახმად ფლობდეს და განკარგავდეს ამხანაგობაში თავის კუთვნილ წილს.
8. ამხანაგობის თითოეული წევრი საკუთარი ფართის ექსპლუატაციისას ვალდებულია დაიცვას შენობის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი და არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც გამოიწვევს პროექტის დარღვევას (განსაკუთრებით ეს ეხება გარე ფასადს).

მუხლი 6. ამხანაგობის მართვა

6.1. ამხანაგობის მართვის ორგანოებია:

ა) ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება;

ბ) ამხანაგობის თავმჯდომარე.

6.2. ამხანაგობის მართვის უმაღლესი ორგანოა ამხანაგობის წევრთა საერთო კრება. კრებებს შორის პერიოდში ამხანაგობის მართვას ახორციელებს ამხანაგობის თავმჯდომარე.

6.3. ამხანაგობას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ამხანაგობის თავმჯდომარე.

მუხლი 7 ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება.

7.1. ამხანაგობის მართვას ახორციელებს დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება. ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება არის ამხანაგობის უმაღლესი ორგანო;

7.2. კრების მოწვევა შესაძლებელია ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრის მოთხოვნის საფუძველზე. მოწვევა უნდა განხორციელდეს სხვა წევრებისათვის 3 დღით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს: კრების ჩატარების ადგილი და თარიღი, განსახილველი საკითხები.

7.3. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დამფუძნებელი წევრთა 2/3. ამხანაგობის წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე ხმათა უბრალო უმრავლესობით;

7.4. კრების კომპეტენციას აუცილებლად განეკუთვნება საკითხები:

ა. ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის და გადაყენების შესახებ.

ბ. სესხებისა და კრედიტების საკითხების განხილვა-დამტკიცება.

გ წინამდებარე დებულებაში ცვლილება-დამატების შეტანა;.

7.5. ერთ მონაწილეს აქვს ერთი ხმა მიუხედავად წილისა.

7.6. მონაწილეები ვალდებულნი არიან არ გააახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 8. ამხანაგობის თავმჯდომარე

8.1. მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არ არის ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი.

8.2. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად წარმოადგინოს ამხანაგობა ნებისმიერ მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის საჯარო რეესტრში, ქ. თბილისის მერიის სამსახურებში (მ.შ. მოახდინოს პროექტის კორექტირება; მოითხოვოს მშენებლობის ვადის გაგრძელება), საგადასახადო ორგანოებში, ნებისმიერ სასამართლოსა და საბანკო დაწესებულებებში და სხვა. აწარმოოს მოლაპარაკებები და ამხანაგობის სახელით დადოს ნებისმიერი სახის გარიგება, ამხანაგობის საერთო კრებისაგან დამოუკიდებლად, მოახდინოს ამხანაგობის წევრებზე ფართების განაწილება (განშლა) და მათი სარეგისტრაციოდ წარდგენა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით.

8.3. საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა არ შედის საერთო კრების კომპეტენციაში ერთპიროვნულად წყვეტს ამხანაგობის თავმჯდომარე.

8.4. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებაზე და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილ შესაძლო საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებაზე. ის განკარგავს ფულად სახსრებს.

8.5. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

8.6. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას, ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

8.7. ამხანაგობის თავჯდომარედ არჩეულია: თენგიზ ბიგვავა (დაბადებული 01.01.1967 წ. პირადი ნომერი #62006029147, მცხოვრები: გალი, ლენინის ქ. 155)

მუხლი 9. ფართების განაწილების წესი

9.1. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია ბინების და ავტოფარეხების განაწილების შესახებ 3.2 და 8.2 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მესაკუთრე, რის შემდეგაც მშენებარე კორპუსში ბინები გადავა თითოეული წევრის ინდივიდუალურ საკუთრებაში და საჯარო რეესტრში აღირიცხება მესაკუთრე დამფუძნებელი წევრის სახელზე; რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა უნდა მოხდეს ამხანაგობის მიერ

მუხლი 10. ამხანაგობიდან გასვლის წესი

10.1. დამფუძნებელ წევრებს უფლება არ აქვთ გავიდნენ ამხანაგობიდან საერთო მიზნის მიღწევამდე.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. მხარეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მათ მიერ განხორციელებული შენატანებისა და მისაღები ფართების პროპორციულად.

11.2 მხარეები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამ საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

11.3. მხარეებს უფლება არა აქვთ ვადამდე შეწყვიტონ ამ დებულების მოქმედება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა და პირობებით.

11.4 ამხანაგობიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რაც ზიანს (დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების წარმოშობასთან) შეუქმნის ერთობლივ საქმიანობას.

11.5. მხარეთა მიერ დებულების პირობების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში. დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ასეთი მოქმედებით მიყენებული ზიანი.

მუხლი 12. ამხანაგობის ვადა

12.1. ამხანაგობა შექმნილია მრავალსართულიანი / მრავალფუნქციური სახლის აშენების ვადით და იგი არსებობას წყვეტს სახლის აშენების, მისი ექსპლუატაციაში მიღების, ბინების ამხანაგობის წევრებზე განაწილების და დადგენილი წესით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

12.2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი მონაწილე;

ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

12.3. მონაწილეებს უფლება აქვთ საცხოვრებელი სახლის აშენების და მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ შექმნან ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

13.1. დებულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და დამტკიცებულია საერთო კრების მიერ.

13.2. დებულების რომელიმე პუნქტის შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა არ იქონიებს გავლენას მხარეთა მიერ ამ დებულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე

13.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე დებულებიდან გამომდინარე, წყდება მხოლოდ მხარეთა შორის მოლაპარაკების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მხარეთა შორის დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო. ამასთან, წინამდებარე აქტზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის შესაბამისად, ამ აქტიდან გამომდინარე, დავასთან დაკავშირებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

13.4. თუ წინამდებარე დებულების მოქმედების ვადის განმავლობაში რომელიმე მუხლი თუ პუნქტი კანონის საფუძველზე მიიჩნევა ბათილად ან ძალადაკარგულად, აღნიშნული ცვლილება გავლენას არ იქონიებს დებულების სხვა ნებისმიერი მუხლისა თუ პუნქტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები:

სანოტარო აქტი

საქართველო

ორმ ათას თექვსმეტი წლის ოცდაორ იანვარს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №26, მომმართეს მოქალაქეებმა პროკოფი ჭანკოტაძემ (დაბადებული 29.11.1979წ. პირადი №18001005079 მცხოვრები: თბილისი მ.კოსტავას ქ. N 67 ბ. 67ბ .), თენგიზ ბიგვავამ (დაბადებული 01.01.1967წ. პირადი №62006029147 მცხოვრები: გალი ლენინის ქ. N 155), გიორგი მიქაიამ (დაბადებული 27.02.1989წ. პირადი ნომერი №62006060421, მცხოვრები: გალი სათანჯოს ქ. N 16.), გიორგი გამეზარდაშვილმა (დაბადებული 11.08.1985წ. პირადი ნომერი №01024021414, მცხოვრები: თბილისი ზ.ბოლქვაძის ქ. N 1 ბ. 31.), ზურაბ ბენდელიანმა (დაბადებული 09.12.1960წ. პირადი ნომერი №60001014319, მცხოვრები: თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 21 ბ. 103.), ლაერტენტი მაღლაკელიძემ (დაბადებული 30.10.1980წ. პირადი ნომერი №18001006252, მცხოვრები: ზესტაფონი, დადიანის ქ. N 57), პაატა ჯახუტაშვილმა (დაბადებული 16.10.1962წ. პირადი ნომერი №01007002197, მცხოვრები: თბილისი რ.აგლაძის ქ. N 26 კორ. 1 ბ. 13.), იოსებ ალავიძემ (დაბადებული 11.10.1975წ. პირადი ნომერი №01015004853 მცხოვრები: თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 103 კორ. 1 ბ. 7), გოგა რაზმაძემ (დაბადებული 04.07.1973წ. პირადი ნომერი №01008001361 მცხოვრები: ქალაქი თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 2, ბინა 55) და ჯემალ ქერდიყოშვილმა (დაბადებული 19.12.1960წ. პირადი ნომერი №62006007580 მცხოვრები: გალი ს. ოქუმი) მათ წარმოადგინეს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის ხელშეკრულება და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მათი პირადობა ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე; ვადასტურებ, რომ ამ მოქალაქეთა ქმედუნერიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არა მაქვს. ყოველივე ამის შემდეგ კი დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მხარეებს ჩემს მიერ განემარტათ: ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930 –940 მუხლების შინაარსი; ბ) ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; გ) წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულობა.

მხარეებმა ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე ხელშეკრულებას.

წინამდებარე ნაგარიგების ღირებულება შეადგენს 2467000 (ორი მილიონ ოთხასსამოცდაშვიდი ათასი) ლარს.

ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი:


1) ამონაწერით საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.12.003.055, განცხადების რეგისტრაცია №882014670698-11/12/2014, მომზადების თარიღი 11/12/2014.

ხელშეკრულება შედგენილია 5 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუს მაია ბიგვავას, სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია სახელმწიფო 2829.28 ლარი. მათ შორის 2396.0 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 23-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 431.28 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: მ. ბიგვავა




A
630
275
2.6 m²
18.0 m²
590
30.0 m²
1,220
590
59.5 m²
760
40
590
1,220
30
590
155
A
1
2
3
4
5
6